



ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №15/46

2017 წლის 29 ივნისი

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერისთვის ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქალაქ ფოთში, 26 მაისის ქუჩა №7-ში მდებარე შენობის მეორე სართულზე არსებული 367.79 კვ.მ. არასაცხოვრებელი ფართიდან (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი 04.02.08.241.01.514) 55.99 კვ.მ. არასაცხოვრებელი ფართის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირისათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ, პირობებით სარგებლობაში გადაცემასთან დაკავშირებით თანხმობის მიცემის შესახებ

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულო აღნიშნავს, რომ საჯარო რეესტრის ამონაწერის შესაბამისად ქალაქ ფოთში, 26 მაისის ქუჩა №7-ში მდებარე შენობის მეორე სართულზე არსებული 367.79 კვ.მ. არასაცხოვრებელი ფართი (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი 04.02.08.241.01.514) წარმოადგენს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკუთრებას.

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის“ პრეზიდენტმა 2017 წლის 19 მაისის №01-01-64 წერილით მომართა ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერს და ითხოვა ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქალაქ ფოთში, 26 მაისის ქუჩა №7-ში მდებარე შენობის მეორე სართულზე არსებული 367.79 კვ.მ. არასაცხოვრებელი ფართიდან (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი 04.02.08.241.01.514) 55.99 კვ.მ. არასაცხოვრებელი ფართის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირისათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ, პირობებით (ქონების მოვლა-პატრონობა და მიმდინარე რემონტის ჩატარება) 2 წლის ვადით სარგებლობაში გადაცემა, ფოთის საქალაქო ორგანიზაციის განთავსებისათვის.

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოში წინადადებით შემოვიდა ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერი ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქალაქ ფოთში, 26 მაისის ქუჩა №7-ში მდებარე შენობის მეორე სართულზე არსებული 367.79 კვ.მ. არასაცხოვრებელი ფართიდან (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი 04.02.08.241.01.514) 55.99 კვ.მ. არასაცხოვრებელი ფართის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირისათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ, პირობებით (ქონების მოვლა-პატრონობა და მიმდინარე რემონტის ჩატარება) 1 წლის ვადით სარგებლობაში გადაცემასთან დაკავშირებით თანხმობის მისაღებად.

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ საქართველოს ორგანული კანონის 122-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემა ხდება აუქციონის ფორმით ან პირდაპირი განკარგვის წესით. მუნიციპალიტეტის ქონების აუქციონის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო, ხოლო მუნიციპალიტეტის ქონების პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ გადაწყვეტილებას - მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობით. ამავე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად პირდაპირი განკარგვის წესით მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემა შეიძლება სასყიდლით ან უსასყიდლოდ, პირობებით ან უპირობოდ. მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემა დასაშვებია არაუმეტეს 2 წლის ვადით, გარდა ამ მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა.

ამასთანავე, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილებით დამტკიცებული წესების 22-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად პირდაპირი განკარგვის წესით მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემა შეიძლება სასყიდლით ან უსასყიდლოდ, პირობებით ან უპირობოდ. მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემა დასაშვებია არაუმეტეს 2 წლის ვადით, გარდა ამ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა.

„პროფესიული კავშირების შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად დამსაქმებლის, საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ადმინისტრაცია, ვალდებულია არსებული მატერიალური და ფინანსური შესაძლებლობების ფარგლებში, შექმნას პროფესიული კავშირის საქმიანობისათვის საჭირო პირობები, გადასცეს პირველად პროფკავშირულ ორგანიზაციას სამსახურეობრივი სარგებლობისათვის სათავსები, მოწყობილობა, კავშირგაბმულობის საშუალებები საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ხარჯზე.

აღსანიშნავია, რომ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „თვითმმართველი ქალაქ ფოთის სკოლამდელი სააღმზრდელო გაერთიანების“ 300-ზე მეტი დასაქმებული არის ხსენებული ორგანიზაციის წევრი.

ამდენად, მიზანშეწონილია ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერისთვის ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქალაქ ფოთში, 26 მაისის ქუჩა №7-ში მდებარე შენობის მეორე არსებული 367.79 კვ.მ. არასაცხოვრებელი ფართიდან (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი 04.02.08.241.01.514) 55.99 კვ.მ. არასაცხოვრებელი ფართის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირისათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ, პირობებით (ქონების მოვლა-პატრონობა და მიმდინარე რემონტის ჩატარება) 1 წლის ვადით სარგებლობაში გადაცემასთან დაკავშირებით თანხმობის მიცემა.

აღნიშნულიდან გამომდინარე:

მუხლი 1.

მიეცეს თანხმობა ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერს, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქალაქ ფოთში, 26 მაისის ქუჩა №7-ში მდებარე შენობის მეორე სართულზე არსებული 367.79 კვ.მ. არასაცხოვრებელი ფართიდან (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი 04.02.08.241.01.514) 55.99 კვ.მ. არასაცხოვრებელი ფართი (გეგმის შესაბამისად) პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ, პირობებით (ქონების მოვლა-პატრონობა და მიმდინარე რემონტის ჩატარება) 1 წლის ვადით სარგებლობაში გადასცეს არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს „საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალ პროფკავშირს“ (ს/კ 211372593).

მუხლი 2.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე მუხლის მე-2 ნაწილის, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 178-ე მუხლის შესაბამისად, განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარის მიერ გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ფოთის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქალაქი ფოთი, დავით აღმაშენებლის ქუჩა №3).

მუხლი 3.

განკარგულება ძალაშია 2017 წლის 29 ივნისიდან.

საკრებულოს თავმჯდომარის
მოვალეობის შემსრულებელი,
თავმჯდომარის მოადგილე

აკაკი დარჯანია